Global Compact Network Georgia

შვედეთი Sverige

კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2021

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

მედია პასუხისგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში

NEWS

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის საქართველოში

არჩილ გელაშვილი

MIMA - კორპორაციული კულტურის ახალი სტანდარტი ქართულ დასაქმების ბაზარზე

სტატია მოგვითხრობს კომპანია MiMa-ს შესახებ, რომელიც 2020 წლის სექტემბერში დაარსდა და ძირითადად გასართობ და ტექნოლოგიურ სფეროში ოპერირებს. როგორც სტატიაშია ნათქვამი, MiMa-ს მიზანია ისეთი ციფრული გარემოს შექმნა, რომელიც ვირტუალურ სივრცეში რეალური სამყაროს ანალოგი იქნება. ავტორის აზრით, კი გარდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდისა ამ მიზნის მიღწევაში კომპანიას დასაქმების ახლებური პოლიტიკა ეხმარება.

სტატია სწორედ კომპანიის დასაქმების პოლიტიკას განიხილავს, რაზეც ავტორი კომპანიის HR დეპარტამენტის ხელმძღვანელს ესაუბრა. როგორც სტატიაშია აღწერილი, MiMa-სთვის მთავარ ღირებულებას კომპანიაში დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ. კომპანია ცდილობს გასაუბრების ეტაპზევე, კანდიდატებისათვის მეგობრული გარემო შექმნას და გარდა უნარ-ჩვევებისა, მნიშვნელობა ენიჭება, კანდიდატისა და კომპანიის ღირებულებები, რამდენად თანხვედრაშია.

Entrepreneur

რაც შეეხება სამუშაო გარემოს, როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, სამუშაო სივრცეების მოწყობა თანამშრომელთა პრეფერენციებისა და სურვილებით გათვალისწინებით ხდება, რაც გუნდის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე დადებით გავლენას ახდენს. ოფისში მოწყობილია ბავშვთა გასართობი სივრცეები, სადაც თანამშრომლებს საჭიროებისას, ბავშვების დატოვების საშუალება აქვთ. თანამშრომლებს შინაური ცხოველების მოყვანის შესაძლებლობაც აქვთ. პანდემიის პერიოდში, კომპანიაში სრულად არის დაცული რეგულაციები, თანამშრომლებს საშუალება აქვთ თავად აირჩიონ სამუშაო რეჟიმი, გუნდი თითქმის სრულად ვაქცინირებულია (2021 წლის სექტემბრის მონაცემებით).

ამას გარდა, კომპანიამ შექმნა პროფესიული კურსი, რამაც დაინტერესება გამოიწვია, კურსისა და გამოცდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, MiMa მონაწილეებს დასაქმების პირობებსაც შესთავაზებს. MiMa ასევე, ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლას.

სალომე ქუშაშვილი

USAID-ის პროექტი "ZRDA" - მდგრადი ტურიზმის განვითარება თუშეთში

„Entrepreneur Georgia"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, სალომე ქუშაშვილი თუშეთში მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და USAID-ის პროექტის „ZRDA" მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების შესახებ მოგვითხრობს, რისთვისაც „ZRDA"-ს ხელმძღვანელს ესაუბრა.

USAID „ZRDA"-ს ხელმძღვანელის განმარტებით, ყველაფერი, რაც თუშეთში „ZRDA"-ს ფარგლებში განხორციელდა, ტურიზმის მდგრადი განვითარების მოდელი ეწოდება, რამდენადაც სამ ძირითად- ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით - ასპექტს მოიცავს. თავის მხრივ, ინკლუზიური ტურიზმი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თემის ჩართვას გულისხმობს. შეიქმნა „ბაბანეურის ჯგუფი", რომელიც კუთხისთვის მნიშვნელოვან ყველა მხარეს, მათ შორის, ოთხივე ხეობის სათემო საბჭოს წარმომადგენლებს აერთიანებს.

სტატიაში დეტალურადაა აღწერილი ის მიმართულებები და პროექტები, რომლებიც თუშეთში განხორციელდა და მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. მათ შორის, პროექტის მხარდაჭერით, ადგილობრივები სწავლობენ ინგლისურ ენას, ბიზნეს-გეგმის შედგენას და მართვას. ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, შეიქმნა სამაცივრე მეურნეობები, საკემპინგო ინფრასტრუქტურა. თუშეთის უნიკალური, უძველესი კედლის მხატვრობისა და პიქტოგრამების ტურისტებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, დაახლოებით 10 სოფელში შეიქმნა ტური, განთავსდა ბანერები. პროექტ „ZRDA"-ს მიერ ასევე მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის რეინჯერების შესაბამისი უნიფორმებითა და აღჭურვილობით მომარაგება. თუშეთში გაკეთდა ტურისტული გიდების პროგრამა, დაფინანსდა „კესელოს" მუზეუმი.

Entrepreneur

სალომე ქუშაშვილი

"ბიოქიმფარმი" - ფაგების რენესანსი უნიკალური ბაქტერიოფაგის ტექნოლოგია

სალომე ქუშაშვილი სტატიაში მოგვითხრობს ქართული ბიოფარმაცევტული კომპანიის - „ბიოქიმფარმის" შესახებ, რომელიც ბაქტერიოფაგის ტექნოლოგიას ბუნებრივი და ეფექტური პრეპარატების შესაქმნელად იყენებს. სტატია მიმოიხილავს კომპანიის განვითარების ისტორიასა და პროცესს, ხოლო კომპანიის გენერალურ მენეჯერს ავტორი კომპანიის ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

როგორც სტატიაშია გადმოცემული, „ბიოქიმფარმის" პროდუქცია 8 ქვეყანაშია ხელმისაწვდომი, თუმცა ამჟამად კომპანიის მთავარი გეზი ინტერნაციონალიზაციაა. "ბიოქიმფარმი" რეგიონულიდან საერთაშორისო კომპანიად გარდაიქმნება და საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების დანერგვას ახორციელებს.

ამას გარდა, კომპანიის გუნდისათვის მუდმივი განვითარება მნიშვნელოვანია. მიუხედავად რთული, პანდემიური წლისა, კომპანიის გუნდს ახალი თანამშრომლები შეემატა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში, „ბიოქიმფარმმა" შექმნა არაკომერციული დანიშნულების ანტიბაქტერიული სითხე, რომელიც მედპერსონალს გადაეცა. სტატიის დასასრულს კომპანიის მიზნები და გეგმები დეტალურადაა გადმოცემული.

სალომე ქუშაშვილი

თოდუას სამედიცინო ცენტრი - დასავლური სტანდარტი ქართულ მედიცინაში

სალომე ქუშაშვილი სტატიაში მიმოიხილავს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, თუმცა სტატია ძირითადად ეთმობა ცენტრის ამჟამინდელი მიმართულებებისა და ღირებულებების განხილვას, რისთვისაც ავტორი ცენტრის მენეჯერს ესაუბრა.

როგორც სტატიაშია განხილული, თოდუას სამედიცინო ცენტრი მრავალპროფილურია, კლინიკის თავდაპირველ ძირითად მიმართულებებს კი ახალი მიმართულებები დაემატა და ახალი განყოფილებებიც ამუშავდა (მაგალითად, სამედიცინო ტურიზმი, ონკოლოგიური მიმართულება). ამასთან სტატიაში განხილულია თოდუას ცენტრის სერვისი - ე.წ CheckUp, პრევენციული ხარისხის კომპლექსური დიაგნოსტიკის პაკეტი, რომელმაც საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა. ამასთან, ცენტრისათვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მუშაობა, ყურადღება ეთმობა ცნობიერების ამაღლებას. ცნობიერების ამაღლებისათვის კი სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმა აქტიურად გამოიყენება.

სტატია მოგვითხრობს, რომ სამედიცნო ცენტრში დანერგილი მენეჯმენტის სისტემის, მენეჯმენტსა და ექიმების გუნდს შორის თანამშრომლობის შესახებ. სტატიის დასკვნით ნაწილში სამედიცინო ცენტრის სამომავლო გეგმებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ ვკითხულობთ.

Entrepreneur

სალომე ქუშაშვილი

ცირკულარული ეკონომიკა და პლასტმასის ნარჩენების მართვის ეროვნული პროგრამა საქართველოში

სტატია შეეხება ცირკულარულ ეკონომიკასა და პლასტმასის ნარჩენების მართვის თემატიკას, სტატიაში ავტორი მიმოიხილავს ცირკულარულ ეკონომიკას, საერთაშორისო ტენდენციებს და ამ კონტექსტში, საქართველოში პლასტმასის ნარჩენების მართვის პროგრამას, მათ შორის, კანონმდებლობას.

ავტორის მოსაზრებით, ქვეყანაში ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების განსაკუთრებული საჭიროება დგას.

სტატიაში ავტორი განიხილავს ნარჩენების პრევენციის პროგრამასაც, თუ რას გულისხმობს პროგრამა, რა იგეგმება და რა მოლოდინები არსებობს ამ მიმართულებით. ამას გარდა, ავტორი საუბრობს ბიზნესის როლზე პლასტმასის ნარჩენების პრევენციაში, კონკრეტული კომპანიის მაგალითზე განიხილავს ბიზნეს სექტორის ნაბიჯებს ამ მიმართულებით, მიმოიხილავს რამდენიმე კომპანიის საქმიანობას (მათ შორის, საბანკო სფეროში) ნარჩენების მართვისა და პლასტმასის შემცირების მიზნით. ავტორის აზრით, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის ნარჩენების მართვისა და შემცირების სტატიაში განხილულ გამოცდილებას, რაც შეიძლება ბევრი კომპანია, ადამიანი და მოქალაქე უნდა შეუერთდეს.

FORTUNA.GE

დედიკა კალატოზი

„გვჯერა, რომ საჭირო საქმეს ვაკეთებთ“ - რა მნიშვნელობა აქვს სოციალური კამპანიების შედეგიანობის გაზომვას

სტატიაში ავტორი განიხილავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ბიზნესის როლს ამ მიმართულებით. ავტორის თქმით, თუ დასავლურ კომპანიებში CSR მსხვილი მიმართულებაა, საქართველოში ის ჯერ კიდევ კეთილ საქმედ ანუ ქველმოქმედებად მიიჩნევა და ერთჯერად, მოცემულ მომენტში არსებულ გადაუდებელ საჭიროებას პასუხობს, ამდენად პროგნოზირებადობას მოკლებულია.

ავტორი განიხილავს, რომ მიუხედავად იმისა, საქართველოში კორპორაციული პასუხისმგებლობა შედარებით ახალი მიმართულებაა, გვაქვს წარმატებული შემთხვევები. წარმატებულ მაგალითებად ავტორი მიიჩნევს ფინანსური ინსტიტუტების, საბანკო სექტორის აქტიურობას. სტატიაში, საბანკო სექტორში კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულების მაგალითზე, მიმოხილულია კორპორაციული სოციალური კამპანიების შედეგებისა და გავლენის შეფასების მნიშვნელობა. ავტორი ასევე ესაუბრა სფეროს სპეციალისტებს და იმ პროფესიონალებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს.

ავტორი მიიჩნევს, რომ დღეისათვის მეტი ყურადღება ექცევა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებას, განსაკუთრებით კი პანდემიამ აჩვენა, რომ აუცილებელია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის პარტნიორობა. CSR სტრატეგია და მისი გავლენის შეფასება კომპანიისათვის მნიშვნელოვანი და უფრო ხელშესახები მიზნების მიღწევის გარანტიაა.

ბლოგი

ნინო ვართაპეტიანი

პასუხისმგებლობა პანდემიის დროს

ნინო ვართაპეტიანი თავის ბლოგში მოგვითხრობს პანდემიის პერიოდში კორპორაციული პასუხისმგებლობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. კერძოდ, ჟურნალისტი ბლოგში განიხილავს ბორჯომში არსებული კომპანიის „Rafting in Borjomi/ ჯომარდობა ბორჯომში“ ინიციატივას.

კომპანიის იდეა და მიზანი იყო, საჯომარდო სეზონი ბორჯომში იმ ადამიანებთან ერთად გახსნილიყო, რომლებსაც პანდემიის პერიოდში მუშაობა არ შეუწყვეტიათ და შესაბამისად, კომპანიამ მიზნად დაისახა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისათვის სტრესული გარემო შეცვლილიყო დადებითი ემოციებით. ჯომარდობაში მონაწილეობდნენ ექიმების, ჟურნალისტებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული გუნდები.

მონაწილეებმა სტარტი სოფელ ჩითახევიდან აიღეს და ფინიშის ხაზი ლიკანის ტერიტორიამდე იყო. როგორც ბლოგი მოგვითხრობს, ინიციატივამ გაამართლა და მონაწილეებს დადებითი განწყობა შეუქმნა.

QVEMOQARTLI.GE

მანონ ბოკუჩავა

კორპორაციული პასუხისმგებლობა ქვეყანაში, სადაც ადამიანი არ არის მთავარი ღირებულება

მანონ ბოკუჩავა, სტატიაში კორპორაციული პასუხისმგებლობის პრინციპებს განიხილავს ქალაქ რუსთავში მოქმედი მსხვილი საწარმოების მაგალითებზე, კერძოდ, მთავარი აქცენტით გარემოს დაცვის მიმართულებაზე.

სტატიისათვის ავტორს რამდენიმე რესპონდენტი ჰყავს, მათ შორის, სამოქალაქო აქტივისტი, "მშრომელთა სოლიდარობის კავშირი", საქართველოს მეტალურგთა, მეშახტეთა და ქიმიკოსთა პროფკავშირის ხელმძღვანელი, რომელთანაც განიხილავს რესპონდენტთა მიერ დასახელებულ პრობლემებს, როგორებიცაა, ჰაერისა და გარემოს დაბინძურება, სამუშაო პირობები სტატიაში განხილულ საწარმოებში დასაქმებულთათვის, კორპორაციული პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის მიმართულებით. ასევე, სტატიაში მითითებულია, რომ საწარმოებს რესპონდენტების მიერ დასახელებულ პრობლემებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ავტორს მხოლოდ ერთი მათგანი გამოეხმაურა.

ამდენად, სტატიაში დეტალურადაა განხილული, როგორც ეკოაქტივისტებისა და რესპონდენტების მიერ წამოჭრილი პრობლემები, ასევე კონკრეტული კომპანიის, საწარმოს პოზიცია განხილულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ბლოგი

ნანა კობაიძე

გაგრძელება იქნება?

ბლოგში ავტორი ჟურნალზე "Sustainability Spotlight" მუშაობის გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს. ჟურნალისტი მიმოიხილავს მდგრადობის საკითხებს, მათ შორის, „მდგრადი განვითარების" განმარტებას. ავტორი მიიჩნევს, რომ პროცესში თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოსა და კომპანიების პასუხისმგებლობაა.

ავტორი აღნიშნავს, რომ დღეისათვის კომპანიებს გააზრებული აქვთ პასუხისმგებლობა, რაც კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფციაში გამოიხატება. როგორც სტატიაში ვკითხულობთ, ბოლო დრომდე გავრცელებული იყო ტერმინი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა", რაც ძირითადად ქველმოქმედების ხასიათს ატარებდა. კორპორაციული პასუხისმგებლობა კი ის ქმედებებია, რომლებიც კონკრეტულ პირთა ან საქმიანობის განვითარებას ემსახურება.

ბლოგში კორპორაციული პასუხისმგებლობა რამდენიმე კომპანიის, მათ მიერ განხორციელებული ინიციატივების მაგალითზეა მიმოხილული. ავტორის თქმი, მნიშვნელოვანი და საგულისხმოა შედარებით მცირე კომპანიების დამოკიდებულება კორპორაციული პასუხისმგებლობისადმი. ჯილდო კი მნიშვნელოვანი გზავნილია მცირე კომპანიებისათვის - პრიორიტეტების სწორად განაწილებითა და საქმის კეთებით სასარგებლო და სასიამოვნო შედეგები მიიღწევა.

UFLEBA.GE

გელა მამულაშვილი

უკონტრაქტო მედია პასუხისმგებლობიანი ბიზნესისთვის?

ავტორის სტატიაში განიხილავს კორპორაციულ პასუხიმგებლობას და როგორც შესავალშია მითითებული, „მოდარაჯე ნაგაზის“ პრინციპით აკვირდება თუ რამდენად პასუხისმგებლიანია ბიზნესი საქართველოში. ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა სფეროს და სტატიაში განხილული მაგალითების საფუძველზე მიმოიხილავს სხვადასხვა მიმართულებით არსებულ საკითხებს.

ამას გარდა, უშუალოდ კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებზე ავტორი სხვადასხვა დარგის ექსპერტებსა და პროფესიონალებს ესაუბრა. ამდენად, სტატიაში განხილულია კორპორაციული პასუხისმგებლობის წარმატებული მაგალითებიც სხვადასხვა კომპანიისა და მათ მიერ ინიცირებული კამპანიისა თუ პროექტის საფუძველზე.

სტატიის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ, რომ კორპორაციული პასუხისმგებლობა ქართული სივრცისათვის უცხო აღარ არის და ძალებს იკრებს. ბიზნესი კი უფრო მეტად აცნობიერებს მდგრადობაზე აქცენტირებული პროექტების აუცილებლობას, რასაც პანდემიამ უფრო მეტად გაუსვა ხაზი.

106,9 FM FORTUNA

მარი მელიქიშვილი

სტარტაპების წინ წამოწევა და ინვესტორებთან დაკავშირება - ბაზარზე ინოვაციური პლატფორმა THE CROSSROADS შეიქმნა

რადიო ინტერვიუს მთავარი თემაა ინოვაციური პლატფორმა The Crossroads, ინტერვიუს ფარგლებში ჟურნალისტი პლატფორმის დამფუძნებელს ესაუბრა. The Crossroads წარმოადგენს სტარტაპერებისა და ინვესტორებისათვის განკუთვნილ პლატფორმას, რომელშიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები არიან ჩართულნი.

ინტერვიუ დაეთმო პლატფორმის მიმოხილვას - მისი შექმნის იდეასა და მიზნებს, ასევე, პლატფორმის ძირითადი საქმიანობის განხილვას. პლატფორმის იდეა პანდემიისას გაჩნდა, ხოლო მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს ადგილობრივი კომპანიების დახმარებას, თუმცა მისი გეოგრაფიული არეალი არ არის შეზღუდული. ამასთან, პლატფორმა, სხვადასხვა პარტნიორის ჩართულობით, კომპანიებს სხვადასხვა საინვესტიციო ბაზარზე წვდომასა და ინვესტიციების მოზიდვაში დაეხმარება.

ინტერვიუს ფარგლებში განიხილებოდა პლატფრომის საქმიანობა, პლატფორმის გამხსნელი ღონისძიება და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები. ინტერვიუს დასასრულს კი თემატიკა პლატფორმის განვითარების გეგმებსა და სამომავლო ხედვებს მოიცავდა.

მარი მელიქიშვილი

#დაეხმარეადგილობრივს - ქვეყანაში მცირე მეწარმეების მხარდასაჭერი კამპანია დაიწყო

რადიო ინტერვიუ მოგვითხრობს სოციალური მედია კამპანიის #დაეხმარეადგილობრივს შესახებ, რომელიც USAID/ZRDA პროექტის ინიციატივით დაიწყო და საქართველოს რეგიონში არსებული მცირე ბიზნესების დახმარებას ისახავს მიზნად. კამპანიასა და მის დეტალებზე წამყვანი პროექტის „ZRDA" ხელმძღვანელს ესაუბრა.

ინტერვიუს ფარგლებში, საუბარი შეეხო კამპანიას, რომლის მეშვეობითაც USAID/ZRDA ფართო საზოგადოებას მოუწოდებს, შეიძინონ მცირე მეწარმეების პროდუქტები და ამით დაეხმარონ მათ. ასევე აღნიშნა, რომ მცირე ბიზნესების მხრიდან მაღალი დაინტერესება შეიმჩნეოდა. საუბარი ასევე შეეხო „ZRDA" პროექტის ფარგლებში გასულ წლებში ჩატარებულ კამპანიებს და სამომავლო გეგმებს.

თეიკო ანჯაფარიძე

მომავალი მწვანე და ინკლუზიურია

გადაცემის „დღის არხი" ნაწილი ეთმობა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის კონფერენციას „აქციე გლობალური მიზნები ადგილობრივ ბიზნესად", რის შესახებაც კონფერენციას წამყვანი გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის წარმომადგენელს ესაუბრა.

როგორც გადაცემაში აღინიშნა, საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო შეეკრიბა მაღალი რანგის სტუმრები, მთავრობები, პასუხისმგებლიანი ბიზნესები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროგრესის განსახილველად, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე სასაუბროდ და გამოცდილების გაზიარების მიზნით. აღნიშნული კონფერენცია საქართველოში პირველად ჩატარდა, ვირტუალურ ფორმატში.

გადაცემაში ასევე ისაუბრეს ორდღიანი კონფერენციის თემატიკისა და მონაწილეთა შესახებ. კონფერენციის მთავარ თემას წარმოადგენდა „მომავალი მწვანე და ინკლუზიურია" და მონაწილეებმა, მომხსენებლებმა სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე ისაუბრეს. გადაცემაში დეტალურად განიხილეს კონფერენციის მიზნები, თემატური მიმართულებები და ფორმატი. გადაცემის დასასრულს კი საუბარი შეეხო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიზნებსა და საქმიანობას.

ეკატერინე ბარამიძე

ევროკავშირის სიკეთეები - 2 მილიონი ევრო ქედას

სიუჟეტი ეძღვნება ევროკავშირის დახმარებით ქედის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს, რომლებმაც ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვნად ზრდას შეუწყო ხელი. ჟურნალისტი მიმოიხილავს ევროკავშირის თანადაფინანსებით მოწყობილ საწარმოს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. საწარმოში დასაქმებულთაგან უმეტესობა ქალია.

სიუჟეტში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები მრავალფეროვანია, ევროკავშირმა ქედის მუნიციპალიტეტს სოფლებისა და დაბების განვითარება-გაძლიერებისთვის გამოუყო 2 მილიონი ევრო. გაძლიერდა და შეიქმნა ახალი საწარმოები, მათ შორის მეღვინეობის და მევენახეობის მიმართულებით, დაფინანსდა 97 ბიზნეს და სოციალური პროექტი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ენერგოეფექტური დანადგარებით აღიჭურვა. სიუჟეტის ავტორი, აღნიშნულ თემატიკაზე ესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას, მათ შორის, საწარმოში დასაქმებულებსა და მეწარმეებს.

თეონა სირბილაძე

მეურნეობა „სამყურა“ წნორში ეგზოტიკურ ბოსტნეულს აწარმოებს

სიუჟეტი შეეხება წნორში მდებარე მეურნეობას, რომელიც ბიო-პროდუქტებს, უმეტესად, ბოსტნეულს აწარმოებს. მეურნეობის, მისი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ჟურნალისტი მეურნეობის დამფუძნებელს ესაუბრა.

როგორც სიუჟეტშია აღნიშნული მეურნეობა ეტაპობრივად გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა. მეურნეობის პროდუქტები ბიო-მეთოდებით მოყვანილი და ეკოლოგიურად სუფთაა, ამ ეტაპზე კი მზადება დაწყებულია ბიო-სერტიფიცირებისათვის. მეურნეობა მომხმარებელს ძირითადად სოციალური ქსელის მეშვეობით უკავშირდება, ამარაგებს რამდენიმე საცალო აგრარულ მარკეტსაც. საუბარი შეეხო გამოწვევებსაც, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად კი მუშახელის პრობლემა დასახელდა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მეურნეობა გეგმავს გაფართოებას და მუშაობის გაგრძელებას აგრო-ტურიზმის მიმართულებით.

თეონა სირბილაძე

სტუმარ-მასპინძლობა იმერულად

სიუჟეტი მოგვითხრობს გასტრონომიული ტურიზმის პერსპექტივების და იმერული სტუმარ-მასპინძლობის შესახებ, იმერეთში მდებარე საოჯახო სასტუმროს მაგალითზე. ჟურნალისტი დამფუძნებელს საოჯახო სასტუმროს შექმნისა და განვითარების, სამომავლო გეგმების შესახებ ესაუბრა, რომელმაც გადაწყვიტა იმერული რეცეპტები, სამზარეულო და ტრადიცია საქმედ ექცია, ემასპინძლა ტურისტებისთვის და მათთვის იმერული სამზარეულოც გაეცნო. როგორც სიუჟეტშია აღნიშნული, სტუმრებს განსაკუთრებით გასტრონომიული მასტერკლასები ხიბლავთ.

ამას გარდა, მოთხრობილია, რომ საოჯახო სასტუმრო, თანდათანობით გაფართოვდა, დაასაქმა ადგილობრივი მოსახლეობა, სოფელში მომრავლდა საოჯახო სასტუმროები, რაც სამომავლოდ, რეგიონსა და ქვეყანაში გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მარიამ ვაჩნაძე

დანერგე მომავალი - მიღწევები და რეკომენდაციები

სიუჟეტში ავტორი საუბრობს პროექტ „დანერგე მომავლის“ შესახებ, რომლის ფარგლებშიც ფერმერები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებით ინტერესდებიან. მათ შორისაა, ლურჯი მოცვი, რომლის განვითარების პოტენციალიც საქართველოში საკმაოდ მაღალია, ასევე დიდია ფერმერების დაინტერესება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებითაც. როგორც სიუჟეტშია აღნიშნული, საქართველოში წარმოებული მოცვის მიმართ ინტერესი საერთაშორისო ბაზრებზე მაღალი და მუდმივად მზარდია.

როგორც სიუჟეტშია აღნიშნული, პროექტი „დანერგე მომავალი“ წარმატებულია, რამდენადაც როგორც მიმართულების, სხვადასხვა ფერმერული ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მსგავსი პროექტების დაწყება - განხორციელების შემდგომ განვითარდა ადგილობრივი ინვესტიციები, სოფლის-მეურნეობის დარგში საერთაშორისო პარტნიორების მიერ განხორციელდა დიდი ინვესტიციები.

მარიამ ვაჩნაძე

რატომ ვერ ასრულებენ კომპანიები გარემოსდაცვით ვალდებულებებს?

ჟურნალისტი მოგვითხრობს გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მიმართულებით არსებულ პროგრესზეა, კერძოდ, 2021 წლის ივნისიდან ამოქმედებული რეგულაციების შესახებ.

სიუჟეტში მიმოხილულია სექტორში გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული გამოწვევები, რეგულაციების შესრულების შესახებ არსებული მდგომარეობა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სტატისტიკა, თუ როგორ ასრულებენ კანონმდებლობას კომპანიები. მეორე მხრივ, სიუჟეტში ასევე განხილულია კერძო სექტორის პოზიცია და განმარტება რეგულაციების შესრულების მიმართულებით.

მანანა დევაძე

ჰაერის დაბინძურებაზე რეგულაციები მკაცრდება

2020 წელს მომზადებულ სიუჟეტში ჟურნალისტი მოგვითხრობს ჰაერის დაბინძურების, ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის და პრობლემების შესახებ ინდუსტრიული ქალაქების, რუსთავისა და კასპის მაგალითზე. ასევე, მიმოიხილავს შესაბამისი კანონმდებლობის შესრულების მიმართულებით არსებულ მდგომარეობას.

ჟურნალისტი სიუჟეტისათვის ესაუბრა შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს, კამპანია „გავიგუდეს“ აქტივისტს, ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. როგორც სიუჟეტშია მოთხრობილი, არსებული კანომდებლობით, ჯარიმები მინიმალურია და არსებულ რეგულაციებს ნაკლები ეფექტი აქვს. სიუჟეტი მიმოიხილავს იმ დროისათვის დაგეგმილი, კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებსაც, რომელთა მიხედვითაც, რეგულაციების დარღვევისთვის სანქციების გამკაცრება და ჯარიმების გაზრდაა გათვალისწინებული.

საზოგადოებრივი
მაუწყებელი

მანანა დევაძე

კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

სიუჟეტში ჟურნალისტი მიმოიხილავს ჰაერის დაბინძურების კუთხით საქართველოში არსებულ მდგომარეობას, საუბრობს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი რეგულაციების შესახებ, რომელიც მალე უნდა შესულიყო ძალაში.

სიუჟეტში განხილულია ახალი რეგულაციებით გათვალისწინებული ვალდებულებები, კანონის დარღვევისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისათვის სანქციები. როგორც რესპონდენტების მიერაა განმარტებული, ახალი რეგულაციები შეეხება სხვადასხვა სექტორის - მათ შორის, მეტალურგიული, ქიმიური წარმოების, სამშენებლო სექტორის დიდ საწარმოებს. ასევე მნიშვნელოვანია ასოცირების შესახებ შეთანხმების გარმოსდაცვითი მმართველობის კომპონენტის აღსრულების თვალსაზრისითაც და ადგენს თანამედროვე სტანდარტებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღდგენის მიზნით, სანქციები კი დაახლოებით ათჯერ არის გაზრდილი.

სიუჯეტში ასევე მიმოხილულია ბიზნეს ასოციაციისა და ადგილობრივი კამპანიის „გავიგუდეთ“ აქტივისტების მოსაზრება. აქტივისტები მიიჩნევენ, რომ მათმა კამპანიამ შედეგი გამოიღო, თუმცა მნიშვნელოვანია ახალი რეგულაციების შესრულება და მონიტორინგი.

თამთა უთურგაშვილი

ადამიანები ჭიათურიდან, რომლებიც ცდილობენ გაექცნენ უსამართლობას, დაბინძურებულ გარემოს და შიმშილს

თამთა უთურგაშვილის სიუჟეტი მოგვითხრობს ჭიათურაში არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური გამოწვევების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე ჟურნალისტი ადგილობრივ მოსახლეობას ესაუბრა და მათგან მოისმინა ქალაქში არსებული პრობლემების შესახებ.

სიუჟეტში ვისმენთ რამდენიმე რესპონდენტის, ადგილობრივი მცხოვრების პრობლემების შესახებ, როგორც ეკონომიკური და სოციალური მიმართულებით, ისე სამუშაო პირობების შესახებ, რაც მათთვის განსაკუთრებით პრობლემურია. როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას იკვეთება, განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები, ჭიათურის მცხოვრებთა თქმით, მათთვის პერსპექტივა მცირეა დასაქმების მხრივაც, ამიტომ, ბევრი ადგილობრივი ტოვებს ქალაქს.

ნინო ვართაპეტიანი

სურამელი ქალების „დროში გაყინული“ ბიზნესი

ნინო ვართაპეტიანი მოგვითხრობს სურამში არსებული პრობლემის შესახებ, კერძოდ, ჟურნალისტი ესაუბრა სურამში მცხოვრებ ქალებს, რომლებიც მცირე საოჯახო ბიზნესს აწარმოებდნენ - ნაზუქებს აცხობდნენ და ყიდდნენ. როგორც სტატიაშია ნათქვამი, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე საერთაშორისო პროექტის დაწყების შემდგომ და პანდემიის გათვალისწინებით, მათი ბიზნესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩნენ.

აღნიშნულ პრობლემებზე ჟურნალისტი თავად ადგილობრივ მცხოვრებლებს ესაუბრა, რომელთათვისაც მცირე ბიზნესი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა, თუმცა პანდემიისა და გზის მშენებლობის გამო მათი საოჯახო ბიზნესი მომხმარებლის გარეშე დარჩა და მათ ვერც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღეს ამ მიმართულებით.

ტელეკომპანია „ბორჯომი“

ჟურნალისტი ასევე მიმოიხილავს გზის მშენებლობის მიმდინარე პროექტს, საავტომობილო გზების დეპარტამენტში კი განუცხადეს, რომ შემოვლითი გზის მიმდებარედ მოეწყობა სპეციალური სავაჭრო სივრცეები, რითაც ადგილობრივი მცირე ბიზნესები ისარგებლებენ.

ამასთან, ავტორი განიხილავს კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებს, რის შესახებაც ესაუბრა დარგის ექსპერტს. როგორც სტატიაში ვკითხულობთ, აუცილებელია, რომ ბიზნესმა გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, მნიშვნელოვანია, დადგინდეს მათი საჭიროებები, თუ როგორ ხედავენ ისინი პრობლემის მოგვარების გზებს და რა სახის ხელშეწყობა სჭირდებათ. მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2022-2023 წლისათვის და სწორედ ამ პერიოდში გაირკვევა, როგორ შეძლებს სურამელი ქალების ბიზნესი განვითარებას.

თამთა უთურგაშვილი ცირა ელისაშვილი

არის ასეთი ქალაქი ჭიათურა

ჟურნალისტი გვიყვება ჭიათურაში, კონკრეტულად, სოფელ შუქრუთში არსებული მწვავე პრობლემების შესახებ. ჟურნალისტი ესაუბრა ადგილობრივებს და მათგან დეტალურად მოისმინა პრობლემების შესახებ.

ერთი მხრივ, სიუჟეტი გვიჩვენებს ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებმაც პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართეს. პროსტესტის მონაწილეები საუბრობენ რომ ჩატარებული სამუშაოების შედეგად იბზარება მიწა და ინგრევა მათი სახლები. მოქალაქეები უალტერნატივობაზე, ეკონომიკურთან ერთად, მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებზეც საუბრობენ და აცხადებენ, რომ ბევრი მათგანი, იძულებულია დატოვოს ქალაქი.

სიუჟეტი გვიჩვენებს რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის პრობლემას, რომელიც მთელი სოფლისთვის საერთოა - ნაპრალები ეზოებში, დაბზარული სახლები, შეცვლილი ლანდშაფტი. ჟურნალისტის თქმით, სოფელი იცლება, იცვლება ლანდშაფტი, იშლება სახლები და მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიგოს, რომ ეკონომიკური განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობის მოტივით ქვეყანა არ უნდა ნადგურდებოდეს.